ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2800282

ნომერი: AR1423684

თარიღი : 18.07.2016

გაცემის თარიღი : 26.08.2016

გაცნობის თარიღი : 26.08.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გიორგი ნადარეიშვილის ქუჩა N4(ნაკვ 9/2)/ ქალაქი თბილისი , ჩიხი სამგორი , N 4ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- კარლო მშვიდობაძე პ/ნ 62001038592
- სოხუმი ძიძარიას ქ. N 18

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  დემონტაჟი
- ღანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

შენობების ფასადზე არსებული ამორტიზირებული საჩრდილობლების დემონტაჟის და ტერიტორიაზე ბეტონის ფილების მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-ისანი, გიორგი ნადარეიშვილის ქ. #4 (ნაკვ. 9/2)/ ჩიხი სამგორი, #4ა–ში, სს "ბაკალეა"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობებზე არსებული ამორტიზირებული საჩრდილობლების დემონტაჟს და ტერიტორიაზე ბეტონის ფილების მოწყობას. განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელებისშესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ "თბილისის არქიტექტურის სამსახური".

"მშენებლობის ნაბართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად არქიტექტურის სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის საკადასტრო მონაცემები #01.17.11.009.016; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, სს "სილქნეტი"-ს წერილი #922/24-9 25.07.2016 წ.; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის თანხმობა #25/210831 11.08.2016 წ.; სიტუაციური გეგმა; მინდობილობა; იპოთეკარის სს "თიბისი ბანკი"-ს თანხმობა) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-ისანი, გიორგი ნადარეიშვილის ქ. #4 (ნაკვ. 9/2)/ ჩიხი სამგორი, #4ა–ში, სს "ბაკალეა"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობებზე არსებული ამორტიზირებული საჩრდილობლების დემონტაჟს და ტერიტორიაზე ბეტონის ფილების მოწყობის შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ: ტერიტორიაზე ბეტონის ფილების დაგება მოხდეს არსებული ხე-ნარგავების დაუზიანებლად და ყველა ხე-ნარგავის შენარჩუნებით, ასევე ტერიტორიაზე ბეტონის ფილების დაგებისას დაცული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის #25/210831 11.08.2016 წ. წერილში (თანხმობა) მითითებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებისა, მე-3 თავის 26-ე მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნა არსებულ მწვანე ნარგავებსა და მშენებარე ობიექტს შორის მინიმალური დაშორების თაობაზე, რომელიც შეადგენს 1,0 მეტრს.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.